

## ნივრის მოვლა-მოყვანის მოკლე ცნობარი

### ნიადაგის დამუშავება

ნივრისთვის ნიადაგის დამუშავება ტარდება ნიადაგურ-კლიმატური ზონიდან გამომდინარე. ნიადაგის თვისებების, წინამორბედი კულტურების



თავისებურებების, დასარეველიანებისა და ეროზიისაგან ნიადაგის დაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით. (ეროზიულ ნიადაგებზე ნაკვეთი იხვნება ბელტის გადაბრუნების გარეშე). წინამორბედი კულტურის აღების შემდეგ, თუ ნაკვეთი ძალიან დასარეველიანებულია სასურველია ნაკვეთის აჩეჩვა 6–8 სმ. სიღრმეზე სარეველების პროვოცირების მიზნით, ან ტოტალური მოქმედების ჰერბიციდის შეტანა.

ჰერბიციდის შეტანიდან ორი კვირის განმავლობაში კატეგორიულად იკრძალება ნაკვეთში სამუშაოების ჩატარება, ორი კვირის შემდეგ აუცილებელია ნაკვეთის გასუფთავება ნარჩენებისგან და გატანა ნაკვეთიდან (ანარჩენების დაწვა ნაკვეთში დაუშვებელია, რადგან ნიადაგის მიკროფლორა და ფაუნა ზიანდება). გასუფთავების შემდეგ, ნაკვეთში შესატანია ორგანული სასუქი, ასევე ფოსფორის და კალიუმის (PK) სრული დოზა ნიადაგის ანალიზიდან გამომდინარე. ნაკვეთი იხვნება 22–25 სმ. სიღრმეზე. აგვისტო–სექტემბერში (ნიადაგურ-კლიმატური ზონების მიხედვით). ორგანული სასუქი შედის გადამწვარი ნაკელის სახით (დაუშვებელია ახალი, გადაუმწვარი ნაკელის გამოყენება).

ნაკვეთის შერჩევის დროს დიდი ყურადღება ექცევა ნიადაგის არის რეაქციას PH-ს, იგი უნდა იყოს PH= 6–7, ან სუსტი მჟავე. მოხვნის შემდეგ უნდა მომზადდეს ნიადაგი დასარგავად.

### ნიადაგის გაფხვიერება

ნიადაგის გაფხვიერება დაფარცხვას მიამართავენ ოქტომბერში.

### დარგვა

სათესლედ უმჯობესია გამოვიყენოთ ნივრის მოყვავილე ჯიშები (ისრის მკეთებელი). დარგვამდე ხდება ნივრის დაკვილვა, შემდეგ ნივრის სიდამპლეების საწინაამდდეგოდ კბილების დამუშავება ხდება ფუნგიციდით შემუშავებული ინსტრუქციის მიხედვით, ნივრის ოთხფეხა ტკიპას, ხახვის ბუზის წინამდდეგ აკარიციდით (შეწამვლის შემდეგ სარგავი მასალა აუცილებლად უნდა გაშრეს).

თუ ნიორი ირგება ხელით, ნივრის დარგვის წინ უნდა გაკეთდეს სარგავი კვლები. ხელით დარგვის დროს რეკომენდირებულია მცენარეთა შორის მანძილი იყოს 6–სმ. და მწკრივთა

შორის 25 სმ. მექანიზაციის შემთხვევაში ირგვება ზოლებრივად, ორზოლიანი და ოთხზოლიანი მწკრივებით. ამ შემთხვევაში ზოლებს შორის მანძილი იქნება 60 სმ. ზოლში მწკრივებს შორის 20 სმ და მცენარეთა შორის 5 სმ.

ხელით რგვის შემთხვევაში ვიღებთ ნიორს და ქუსლით მიწისკენ ვდებთ, ვაყრით მიწას 5–სმ. სიმაღლეზე.

ჰექტარზე რგვის ნორმა განისაზღვრება კბილების სიმსხოთი და მცენარეთა საჰექტარო დგომით. საერთოდ, წვრილკბილა ნივრის ჯიშების რგვის ნორმა ნაკლებია (700-1200 კგ/ჰა–ზე), მსხვილკბილიანისა კი მეტი (1200-1500კგ/ჰა–ზე).

### **მცენარეთა მორწყვა**

ნიორი ირწყვება ორჯერ. გვალვების შემთხვევაში შეიძლება სამჯერაც.

### **ნათესის მოვლა**

ნივრის დარგვის შემდეგ გაზაფხულზე, როგორც კი ნიადაგი გათბება მცენარის 3–4 ფოთლის ფაზაში იწყება აგროტექნიკა. პირველი თოხნის დროს გამოკვება აზოტის სასუქის 2/3 დოზით, მეორე თოხნის დროს კი აზოტის დარჩენილი დოზით გამოკვება. საჭიროების შემთხვევაში (1–2 კვირის შემდეგ მეორე თოხნიდან) მესამე თოხნა. მექანიზაციის შემთხვევაში 1–2 კულტივაცია მწკრივთაშორის და ორი თოხნა ხელით. მორწყვა საჭიროების მიხედვით.

სარეველების წინამდებეგ ჰერბიციდი გამოიყენება შესაბამისი დოზირებითა და ინსტრუქციების დაცვით.

მოყვავილე ფორმებში აუცილებელია საყვავილე ღეროს ჩატეხვა, როცა საყვავილე ღეროს წვერო დაიხრება მიწისკენ, ან გათიბება მექანიზაციის შემთხვევაში. ამ პროცესის არ ჩატარება იწვევს მოსავლის 20–30%-ით შემცირებას.

### **მავნებლებთან ბრძოლა**

შესაძლებელია ადრე გაზაფხულზე, როგორც კი დათბება, ნიორს ფოთლები გაუყვიტლდეს, ვიღებთ ნიორს და ცრუ ღეროზე ვახდენთ ვიზუალურ დათვალიერებას ხახვის ბუზზე, თუ შეინიშნება, უნდა გამოვიყენოთ შესაბამისი ინსექტიციდი ინსტრუქციის მიხედვით.

### **მოსავლის აღება**

ნივრის მოსავლის აღება იწყება როგორც კი ფოჩი გახმება, ცრუ ღერო მორბილდება და ჩაწვება. მოსავლის აღება ხდება ამომყრელი მანქანით, ან ხელით. ბარის რაიონებში ნიორი

ჩვეულებრივად ივნისში შემოდის, მთაში—უფრო გვიან. ნიორი აღებული უნდა იქნას მშრალ მზიან ამინდში. იყრება სუფთა ადგილზე სულ მცირე ერთი კვირა, რათა კარგად გაშრეს. (მზეზე დიდხნით დაყრა არ შეიძლება, რადგან კბილები შეიძლება გამწვანდეს).

### **მოსავლის შენახვა**

იწვნება გალებად და იკიდება.

